გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ხაშურის მოამბე

№18 (440) 5 მაისი, კვირა, 2024 წელი

აღდგომა სახეა სიცოცხლისა

აღდგომა, მოძრავი დღესასწაულია, რომელიც აღინიშნება ახალი სტილით 4 აპრილსა და 8 მაისს შორის. ნიკეის პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ 325 წელს დაადგინა ზეიმის აღნიშვნა გაზაფხულის ბუნიობის მომდევნო კვირას, იუდეველთა პასექის დასასრულს, უთუოდ მისგან განცალკევებით და კვირის ბოლოს.

ქრისტიანთათვის აღდგომა უდიდესი დღესასწაულია, რადგან იესო ქრისტემ ჯვარცმითა და შემდეგ აღდგომით კაცობრიობას ჩაუსახა რწმენა სულის უკვდავებისა, საუკუნო ცხოვრებისა. ქრისტეს აღდგომა ძველის - ახლით, ბნელის - ნათელით, სიკვდილისა - სიცოცხლით შეცვლას ნიშნავს.

წმ. იოანე ოქროპირი ასე განმარტავს ამ უდიდესი დღესასწაულის მნიშვნელობას:

“დღეს აღესრულა, საყვარელნო, რაც მრავალი საუკუნის წინ თქვა დავით წინასწარმეტყველმა: “მწუხრი იყვნენ ტირილით და ცისკარს სიხარულით”.

რამეთუ მწუხარება, რომელმაც მოიცვა მოციქულნი უფლის ჯვარცმისას, მისი აღდგომის სიხარულით შეი-ცვალა; ხოლო ქრისტეს ჯვარმცმელების სიხარული ცისკარზე უფლის აღდგომით მათ სირცხვილად გადაექცათ.”

ასევე თითოეული მორწმუნე ქრისტიანი ხვდება აღდგომას სიხარულით.

“ქრისტიანობამ იცის, რისთვის აქებს და ადიდებს ამ დღეს: მკვდრეთით აღდგა ქრისტე და აღადგინა თავისი კაცთა მხსნელი მოძღვრება, თავისი ახალი ცხოვრების მომნიჭებელი აღთქმა... დიდმა მოძღვრებამ ყოვლად მაცხოვარ სიყვარულისა გაჰფანტა ბნელი, გაადნო ყინული ძველის უწყალობისა და მოჰფინა იგი ნათელი და სითბო წყალობისა, ურომლისოდაც ქვეყნიერებაზედ არაფერი არ ხეირობს, არაფერი არ მოდის, არ იზრდება, არ ყვავის, არ ცოცხლობს. გაიყარა ძველი და ახალი, ბნელი და ნათელი, სიკვდილი და სიცოცხლე და მოგვანიჭა ცხოვრება იმიტომ, რომ მკვდარი იყო სული ჩვენი და ქრისტემ აღადგინა მკვდრეთით... თუ ზამთარი სახეა სიბერისა, მიძინებისა, სიკვდილისა, გაზაფხული სახეა ახლობლისა, აღდგომა - სიცოცხლისა.”

აღდგომა გამორჩეულია მის აღნიშვნასთან დაკავშირებული საერო სიმბოლოებითაც, როგორიცაა წითელი კვერცხი, “არტოსი”, პასკა.

წითელი კვერცხი

სააღდგომოდ ჩვენ ყველანი წითლად ვღებავთ კვერცხებს და ერთმანეთს ვუცვლით ამ სიტყვებით: “ქრისტე აღსდგა”. ეს ჩვეულება ძალიან ძველია. არის გადმოცემა, რომ ამაღლებამდე იესო ქრისტემ თავისი მოწაფეები სხვადასხვა ადგილებში დაგზავნა, რათა ადამიანებისთვის მისი აღდგომის შესახებ ეხარებინათ. საქადაგებლად გაეშურა მარიამ მაგდალინელიც, რომლისგანაც მაცხოვარმა შვიდი ეშმაკი განდევნა და რომელმაც ღვთისმშობლის შემდეგ პირველმა

იხილა მკვდრეთით აღმდგარი უფალი. წმიდა მარიამი რომში ჩავიდა და პირდაპირ იმპერატორის სასახლეს მიაშურა. იგი ცნობილი პიროვნება იყო და ამიტომ დაუბრკოლებლად გაატარეს სასახლეში. მან იმპერატორ ტიბერიუსს საჩუქრად კვერცხი გაუწოდა და ახარა: “ქრისტე აღსდგა”. იმპერატორმა ქალს ეჭვით შეხედა და წამოიძახა: “როგორ შეეძლო მკვდარს აღმდგარიყო?! ეს ისევე დაუჯერებელია, როგორც ის, რომ ახლა ეს კვერცხი გაწითლდესო”. სიტყვები ჯერ არ ჰქონდა დამთავრებული, რომ კვერცხი მართლაც გაწითლდა. ამ დღიდან მოყოლებული ქრისტიანები წითელი კვერცხებით ეგებებიან აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. საერთოდ, კვერცხი მარდიული სიცოცხლის სიმბოლოა, რადგან მისგან ცოცხალი არსება იბადება, იესო ქრისტემ კი სიცოცხლე მოგვანიჭა. წითელ ფერში სისხლი მოიაზრება, რადგან იესო ქრისტემ თავისი სისხლით სიცოცხლე განწმიდა და აკურთხა.

ღვთის წყალობა ყოფილიყოს ჩვენს მიწაზე!

ჩემო ძვირფასო თანამემამულენო, გილოცავთ, მაცხოვრის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის ამ ყველაზე დიდ, სიხარულისა და იმედის მომტან დღეს, სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების, სულიერი ამაღლებისა და საყოველთაო განახლების დღესასწაულს.

მინდა, მთელი სულითა და გულით გისურვოთ იესო ქრისტეს აღდგომის სიხარულით აღსავსე ცხოვრება, ბედნიერება და სიხარული, რწმენა და კეთილდღეობა.



ღვთის წყალობა იყოს ჩვენს მიწაზე მშვიდობის, ჩვენი სახელმწიფოს სულიერი აღორძინების, ჩვენი ყველაზე ფარული იმედების ასრულების გარანტი.

ზაალ (ზაზა) დუგლაძე,
ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარი დეპუტატი

უფალი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახის მფარველი!

იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა-უდიდესია ქრისტიანულ დღესასწაულთა შორის-სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების დღესასწაული.

ბრწყინვალე აღდგომა ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის დიდი სიხარულისა და იმედის მომტანია.

უფალი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახის მფარველი. გისურვებთ სიკეთეს, სულიერ სიძლიერეს და ჯანმრთელობას.

ქრისტე აღსდგა!
ჭეშმარიტად აღსდგა!

თენგიზ ჩიტიაშვილი,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი

გილოცავთ სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების დღესასწაულს!

ქრისტე აღსდგა! გილოცავთ, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს! სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების, განახლების, რწმენის, სიყვარულის დღესასწაულს! გვიყვარდეს ერთმანეთი, სწორედ ისე, როგორც ქრისტემ შეგვიყვარა, გულით, გონებითა და საქმით. უფალმა მრავალ ქრისტეს აღდგომის დღესასწაულს დაგასწროთ!

ნინო ლიპარტელიანი,
ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანება №84. 84241146 23/04/2024

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ზვიად გოგუაძის დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა.გ" ქვეპუნქტის,57-ე მუხლის პირველი პუნქტის, 61-ე მუხლის მესამე პუნქტის "ა"ქვეპუნქტის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №37 დადგენილების "ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ", ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №47 დადგენილების "ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა საჯარო მომსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" შესაბამისად და ზვიად გოგუაძის 2024 წლის 23 აპრილის №19/842411430-84 განცხადების საფუძელზე

ვბრძანებ:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ 2024 წლის 23 აპრილიდან დაინიშნოს ზვიად გოგუაძე

2. ბრძანება ეცნობოს ზვიად გოგუაძეს

3. ბრძანება ეცნობოს: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულებს: ადმინისტრაციულ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურებს.

4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ დადგენილი წესით ხაშურის რაიონულ სასამართლოში(ქ. ხაშური, კოსტავას ქ. №15) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თენგიზ ჩიტიაშვილი,
ხაშურის მუნიციპალიტეტი-მერი

ზვიად გოგუაძე დაიბადა 1987 წლის 27 იანვარს. 2004 წელს დაამთავრა სურამის მე-2 საჯარო სკოლა, შემდეგ თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2012 წელს კი-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. არის იურისტი, სამართლის მაგისტრი.

2011-12 წლებში მუშაობდა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში სამშენებლო სამსახურის მენეჯერად.

2011-15 წლებში იყო ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი სპეციალისტი(შიდა აუდიტი).

2013-2016 წლები-საზოგადოებრივი კოლეჯი "ეტალონის" სისხლის სამართლის პროცესის მასწავლებელი.

2015-17 წლები-ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

2017 წელს ინიშნება და 2023 წლამდე იყო ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი.

პარალელურად, 2019-2021 და 2017-2023 წლებში იყო სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი.

განათლების, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისა და ბავშვთა უფლებების კუთხით, ავტორია მრავალი სტატიისა, რომელიც პერიოდულად ქვეყნდებოდა პრესაში და შუქდებოდა ტელევიზიით.

ა(ა)იპ „კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანების" ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

3-8 მარტს დედათა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება და ფასიანი საჩუქრების გადაცემა.

წვეულებებისა და ღონიძიებების მოწყობა.

9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიების მოწყობა.

9 მაისის დიდ სამამულო ომში გამარჯვებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ჩატარება ვეტერანებისათვის ფასიანი საჩუქრების გადაცემა.

26 მაისის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკისა და საგუნდო რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობა.

1 ივნისს - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზება და ბავშვებისათვის ფასიანი საჩუქრების გადაცემა.

ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის დღესასწაულის ,,ლესიაობის'' ორგანიზება.

უკრაინის დაძმობილებულ ქალაქ ნოვოგრად ვოლინსკში დაგეგმილ ფესტივალში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა.

უკრაინაში დაძმობილებულ ქალაქ ობუხოვოში დაგეგმილ ფესტივალში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა.

ლიტვაში დაძმობილებულ ქალაქ რადვილისკში დაგეგმილ ფესტივალში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა.

ლატვიაში დაძმობილებულ ქალაქ ბაუსკაში დაგეგმილ ფესტივალში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა.

პოლონეთში, დაძმობილებულ ქალაქ ტარნოვში, დაგეგმილ ფესტივალში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა.

პოლონეთი, დაძმობილებულ ქალაქ შრემში, დაგეგმილ ფესტივალში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა.

შვედეთში, ქალაქ ჰედემორაში ქალაქის დღესასწაულში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა.

თეატრის დღეების ორგანიზება.

27 სექტემბერი აფხაზეთის დაცემის დღე.

სახალხო დღესასწაულის ,,ხაშურ ქალაქობა 2023'' ორგანიზება.

ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები.

შეხვედრა წარმატებულ ხაშურელებთან და მათი საქმიანობის პოპულარიზაცია.

ქართული შოუ ბიზნესის წარმომადგენლების მონაწილეობით კონცერტის უზრუნველყოფა.

2008 წლის 8 აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომის ხსოვნის კვირეულთან დაკავშირებული ღონისძიების ორგანიზება.

5 ოქტომბრის მასწავლებლის დღის აღსანიშნავი ღონისძიების ორგანიზება და მათთვის ფასიანი საჩუქრების გადაცემა.

17 ოქტომბრის ვეტერანთა დღესთან დაკავშირებული ღონისძიების ორგანიზება.

შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება.

სახალხო დღესასწაულის ,,ყიფიანობა'' ორგანიზება.

,,ყიფიანის პრემია''.

სხვადასხვა დონის დაუგეგმავი კულტურული ღონისძიებების ჩატარება და საჭიროების შემთხვევაში ფასიანი საჩუქრების გადაცემა.

სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობისათვის ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

სამხატვრო და საგამოფენო საქმიანობის პოპულარიზაცია.

კულტურისა და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება - თოჯინების თეატრი.

2023 წლის ღონისძიებების ჩამონათვალი.

7 იანვარი - საშობაო ღონისძიება.

23 მარტიდან - 29 აპრილის ჩათვლით თოჯინების სპექტაკლის ჩვენებები:

,,ბურატინოს თავგადასავალი''.

3,4,6 აპრილი - ფესტივალი ,,იავნანა''.

26 აპრილი - ყიფიანობა ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახლმუზეუმში.

8 მაისი - კინო-ჩვენება ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების დაწყებითი კლასებისათვის.

11 მაისი - ტურისტული კავშირი ,,მეგზურის მიერ შიდა ქართლში ტურისტული სეზონის გახსნასთან დაკავშირებით გამოფენაში მონაწილეობა.

15 მაისი - კინო ფესტივალის ფარგლებში კინო ჩვენება ხაშურის საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის.

19 – 21 მაისი ქ. ბათუმში ,,ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის მე-14 საერთაშორისო გამოფენა - EBIT 2023'' საგამოფენო ნიმუშების წარმოდგენა.

22, 23, 24 მაისი - კლასიკური, ტრადიციული და თანამედროვე ხელონების XI

(გაგრძელება III გვერდზე)

(დასასრული)

ფესტივალი-დელფიადა.
26 მაისი - დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი.
31 მაისი - ანსამბლ ,,ფრესკას'' მიწვევა პოლონეთში.
31 მაისი ახალგაზრდული თეატრის სპექტაკლის ჩვენება ,,ადამ იანი''.
8 ივნისი - ,,ყვავილების ფესტივალი'' ხაშურის და სურამის საჯარო სკოლების დაწყებითი კლასების ჩართულობით.
12 ივნისი - ხაშურის მუნიციპალიტეტთან არსებული მშველიძის სახელობის გალობა სიმღერის ანსამბლი, ხალხური სიმღერის გუნდი ,,ქართლი'', აარის მუსიკალური სკოლის და ტკოცის საჯარო სკოლის ხალხური სიმღერის გუნდების ერთობლივი კონცერტი.
14 ივნისი - სოფიკო კანდელაკის სოლო კონცერტი სამუსიკო სკოლის დარბაზში.
15 ივნისი - ხაშურის სამუსიკო სკოლის, ქეთი კუხიანიძის და ქვიშხეთის ქალთა ტრიოს საჩვენებელი კონცერტი.
24 ივნისი - თოჯინების თეატრის სპექტაკლის ,, სატკბილეთის ქვეყანა'' ჩვენება ქალაქის ცენტრში დ. ყიფიანის სკვერში ღია ცის ქვეშ, შეხვედრა პიესის ავტორთან ირმა მალაციძესთან.
27 ივნისი - ტაშისკრის ბრძოლის 414-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი ,,სააკაძეობა''.
10-17 ივლისი თოჯინების თეატრის მონაწილეობა ფესტივალზე ,,ნარინჯისფერი ქობულეთი''.
24 ივლისი - თოჯინების თეატრის სპექტაკლების ჩვენება საკურორტო ზონაში, კერძოდ სურამში.
5 ოქტომბერიდან - თოჯინების თეატრის სპექტაკლის ,,კომბლეს ახალი თავგადასავალი'' ჩვენება.
14 ოქტომბერი - ,,ხაშურქალაქობა 2023'' მონაწილეობა.
15 ოქტომბერი - ლესიაობა'' - მონაწილეობის მიღება.
9,14 ნოემბერი - მხიარულთა და საზრიანთა სასკოლოთაშორისო ლიგის შეხვედრები.
21 ნოემბერი - მხიარულთა და საზრიანთა ლიგის ფინალური შეხვედრა.
23 დეკემბერი - 28 დეკემბერი - საახალწლო ზეიმები.

ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრის 2023 წლის ღონისძიებების ჩამონათვალი.

7 იანვარი - ვოკალური მუსიკის წრის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პრემიერ მინისტრის მიერ ორგანიზებულ საშობაო კონცერტზე.
27 იანვარი - საქართველოს ისტორიის და რელიგიის შემსწავლელი წრის წევრებმა აღნიშნეს წმ. ნინოს ქართველთა განმანათლებლის ხსენების დღე.
27 იანვარი - თვითმართველობის კლუბის წევრები სტუმრად მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.
2 თებერვალი - მკითხველთა კლუბის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ,,წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღეში''.
10 თებერვალი - საქართველოს ისტორიის და რელიგიის შემსწავლელი წრის წევრებმა წარმოადგინეს ღია გაკვეთილი დავით აღმაშენებლის ხსენების დღესთან დაკავშირებით-პრეზენტაცია ,,ფეხი დამადგით''.
10 თებერვალი - ,,შეხვედრა ავტორთან''- მკითხველთა კლუბის წევრები შეხვდნენ ,,ჩვენი სკოლა'' წიგნის ავტორს ნათია როსტიაშვილს.
1 მარტი - ვოკალური მუსიკის წრის წევრებმა მეცადინეობა მიუძღვნეს დედის დღეს ,,დედა გილოცავ''.
10 მარტი - თვითმართველობის კლუბის წევრებმა შეხვედრა მოუწყეს მშვიდობის კორპუსის წარმომადგენლებს.
19 მარტი - ვოკალური მუსიკის წრის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს მოზარდთა შემოქმედების საერთაშორისო ფესტივალში ,,აპოლონიადა 2023 - ქუთაისური გაზაფხული''.
22 მარტი - ,,ჩვენ არ ვითვლით ქრომოსომებს'' - დაუნის სინდრომის კვირეულის ფარგლებში, ხატვის წრის წევრებმა მეცადინეობა მიუძღვნეს და მოაწყეს თემატური ნახატების გამოფენა.
31 მარტი - თვითმართველობის კლუბის წევრები სტუმრად იმყოფებოდნენ მომავლის სახლის აღსაზრდელებთან.
9 აპრილი - ტრაგედია მკითხველთა კლუბის წევრებმა ღია ცის ქვეშ წარმოადგინეს პრეზენტაცია.
11,12,13,14 აპრილი - მხატვრული კითხვის და ნორჩ შემოქმედთა წრემ ჩაატარა ქართული ენის კვირეული ,,ვკითხულობთ მურმან ლებანიძეს''.
18 აპრილი - ,,ქრისტე აღსდგა'' პრეზენტაცია წარმოადგინა ჭადრაკის წრემ.
24 აპრილი - ,,კვირაცხოვლობა'' აღნიშნეს საქართველოს ისტორიის და რელიგიის შემსწავლელი წრის წევრებმა.
25 აპრილი - ,,ემოციების მართვა'' ტრენინგი განხორციელდა ამერიკის კუთხეში მშვიდობის კორპუსის მოხალისეთა მიერ, რომელიც შემოქმედებითი განვითარების ცენტრის თვითმართველობის კლუბის წევრებისთვის გახლდათ წარმოდგენილი.
27 აპრილი - თვითმართველობის კლუბის წევრები და ხელმძღვანელი ალექსანდრე ჯოჯიშვილი სტუმრად ,,მომავლის სახლში'' საჩუქრების გადასაცემად.
4 მაისი - ,,ბავშვთა უფლებები'' თვითმართველობის კლუბის წევრები სტუმრად ხაშურის რესურსცენტრში.
10 მაისი - ,,მასტერკლასის კვირეული'' გიტარის წრის წევრებთან სტუმრად უნიჭიერესი მუსიკოსი, ჯგუფი ,,Spam jam -ის ვოკალისტი გიორგი სუხიაშვილი.
11 მაისი - ,,მასტერკლასის კვირეული'' ვოკალური მუსიკის წრის წევრებთან სტუმრად უნიჭიერესი მუსიკოსი ფატი სადაღაშვილი.
11 მაისი - ქ. გორში ტურისტული სეზონის გახსნასთან დაკავშირებით საგამოფენო ნამუშევრების გამოფენა წარმოაგდგინეს წრის ხელმძღვანელებმა ლალი ხვედელიანმა, დალი ხოლუაშვილმა, ქეთევან კურტანიძემ.
14 მაისი - ,,მასტერკლასის კვირეული'' თამარობის დღესასწაული'' პრეზენტაცია წარმოადგინა საქართველოს ისტორიის და რელიგიის შემსწავლელმა წრის წევრებმა, რომლის სტუმარი გახვდათ ისტორიკოსი, შემოქმედებითი განვითარების ცენტრის მთავარი სპეციალისტი აზა გოგალაძე.
22,23,24,25,26 მაისი მხატვრული კითხვის და ნორჩ შემოქმედთა წრემ ჩაატარა კვირეული ,,ჩემი სამშობლო ხაშურიდან იწყება".
22 მაისი - ,,მასტერკლასის კვირეული'' ქართული ცეკვების წრეს ესტუმრა უნუჭიერესი ქორეოგრაფი, ანსამბლ ,,ფრესკას'' ხელმძღვანელი ელენე რატიანი.
22,25 მაისი - ხაშურის კლასიკური და თანამედროვე ხელოვნების XI ფესტივალზე მონაწილეობის მიღება ქორეოგრაფიული ანსამბლისა ,,კავკასიონი'' და ვოკალური ანსამბლისა ,,თოლია''.
25 მაისი - თვითმართველობის კლუბის წევრები სტუმრად საქართველოს პარლამენტში და პრეზიდენტის სასახლეში.
26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს და გამოფენა წარმოადგინეს წრის ხელმძღვანელებმა: ლალი ხვედელიანმა, დალი ხოლუაშვილმა, ანი ლომიძემ, ქეთევან კურტანიძემ.
30 მაისი - ჭადრაკის წრის წევრებს ესტუმრა მათემატიკოსი, პროგრამისტი და ჭადრაკის დიდოსტატი გიორგი ინასარიძე.
3 ივნისი - მუნიციპალიტეტის სკოლებს შორის ჩატარებულ ,,პირველობა ჭადრაკში'' მონაწილეობა მიიღო შემოქმედებითი განვითარების ცენტრის ჭადრაკის წრის წევრმა ნანა ქურდაძემ და მოიპოვა მესამე ადგილი.
5 ივნისი - ფსიქოლოგი რობი ქოჩიშვილი სტუმრად იმყოფებოდა თვითმართველობის წრის წევრებთან.
6 ივნისი - ,,წიგნიერნი'' მკითხველთა კლუბის ღია გაკვეთილი.
7 ივნისი - ,,ვმღერით ქართულად'' ვოკალური მუსიკის წრის ღია გაკვეთილი.
8 ივნისი - ,,შემოვაქსოვოთ საქართველოს ჯაჭვის პერანგი'' ღონისძიება.
14 ივნისი - ,,ჩემი ფერადი სამყარო'' ქარგვის წრის წევრთა გამოფენა.
17 ივნისი - იურისტი ლაშა მესხი სტუმრად თვითმართველობის კლუბის წევრებთან.
22 ივნისი - ,,პატარა თითებით შექმნილი სილამაზე'' თექის წრის წევრთა გამოფენა.
22 ივნისი - ,,არ გადავჯიშდეთ'' ქართული ცეკვის წრის ღია გაკვეთილი.
29 ივნისი - ,,მოდის ახალი თაობა'' 2022 -23 სასწავლო წლის შემაჯამებელი კონცერტი.
12 ოქტომბერი - საქართველოს ისტორიის და რელიგიის წრის წევრებმა აღნიშნეს ,,სვეტიცხოვლობა''.
14 ოქტომბერი - ,,ხაშურქალაქობის დღესასწაულის ფარგლებში ხატვის წრის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს მეგობარი ქვეყნების დელეგაციის წარმომადგენლებისთვის მოწყობილ გამოფენაში.
14 ოქტომბერი - ხატვის, ქარგვის, თექის, ვოკალური მუსიკის, ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა მონაწილეობა მიიღეს ხაშურქალაქობის დღესასწაულზე.
19 ოქტომბერი - ,,ჩემი რჩეული ნახატი სამუზეუმო გამოფენიდან'' მხატვრული კითხვის და ნორჩ შემოქმედთა წრის წევრები შეხვდნენ მუზეუმში გამოფენილ ნამუშევართა ავტორს - მხატვარ ლალო გელაშვილს.
3 ნოემბერი - ,,შეხვედრა ავტორთან'' მკითხველთა კლუბის შეხვედრა ნინო ლომიძესთან
12 ნოემბერი - ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,ცისკარი'' მონაწილეობა მიიღო მცხეთაში გამართულ ფესტივალზე ,,ოქროს გუნდი''.
22 ნოემბერი - ხატვის წრის წევრებმა ღია გაკვეთილი მიუძღვნეს გიორგობას.
29 ნოემბერი - ,,შემოდგომის დღესასწაული'' მონაწილეობა მიიღეს: ხატვის, ქარგვის, ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა ,,ცისკარი'' და ,,კავკასიონი'', ვოკალური მუსიკის და პოპულარული მუსიკის წრის წევრებმა, გიტარის, მხატვრული კითხვის და შემოქმედთა წრის წევრებმა.
5 დეკემბერი - მკითხველთა კლუბის წევრებმა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ გამართულ 16 დღიან კამპანიას და გენდერულ თანასწორობას მიუძღვნეს დისკუსია და გამოფენა.
15 დეკემბერი - ქარგვის წრის წევრებმა მეცადინეობა მიუძღვნეს წმ. ბარბარეს ხსენების დღეს.
16 დეკემბერი - მხატვრული კითხვის და ნორჩ შემოქმედთა წრის წევრებმა ჩაატარეს დ. ყიფიანისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო ,,სამშობლო სიცოცხლეზე მეტია''.
18 დეკემბერი - ქარგვის წრის წევრებმა აღნიშნეს წმ. ნიკოლოზის ხსენების დღე.
20 დეკემბერი - ხატვის წრის წევრებმა ჩაატარეს ღია გაკვეთილი ,,ფერთა ზეიმი''.
21 დეკემბერი - ჭადრაკის წრის წევრებმა ჩაატარეს ღია გაკვეთილი ,,ვითამაშოთ ჭადრაკი''.
21 დეკემბერი - საქართველოს ისტორიის და რელიგიის წრის წევრებმა გააკეთეს
პრეზენტაცია ,,რა განძი გვქონია''.
25 დეკემბერი - ქარგვის წრის წევრებმა ჩაატარეს ღია გაკვეთილი ,,მარჯვე ხელები''.
26 დეკემბერი - ,,პატარა ოქროს თითები'' ღია გაკვეთილი ქარგვაში.

სურამის კულტურის ცენტრის 2023 წლის ღონისძიებების ჩამონათვალი

იანვრის თვე საახალწლო ღონისძიება.
20 იანვარი - საბავშვო სპექტაკლის ჩვენება ,,კულულა და სამი დათვი''.
6 მარტი - დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ,,დედა და გაზაფხული''.
10 აპრილი - პოეზიის საღამი-,,ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები''.
14 აპრილი - დედაენის დღესთან დაკავშირებით პირველ კლასელების მოწვევა.
22,23,24 მაისი-ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების X ფესტივალში მონაწილეობის მიღება.
15 ივნისი - წლის შემაჯამებელი ღონისძიება.
9, 14, 21 ნოემბერი - მხიარულთა და საზრიანთა გუნდების შეხვედრები.
25 დეკემბერი - სურამში ნაძვის ხის ანთების ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება.
27 დეკემბერი - საქველმოქმედო ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობა.
29 დეკემბერი - სურამის კულტურის ცენტრის მოსწავლეთა მონაწილეობით საახალწლო კონცერტი.

ქვიშხეთის კულტურის ცენტრის 2023 წლის ღონისძიებების ჩამონათვალი

26 აპრილი - დიმიტრი ყიფიანის ხსენების დღე, ქვიშხეთის კულტურის ცენტრის და მუზეუმის ერთობლივი ღონისძიება.
1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე ადგილობრივი კოლექტივების მონაწილეობით.
15 ივნისი ქალთა ტრიო „თაიგული"-ს ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება.
27 ივნისი - „სააკაძეობა" ტაშისკარში. ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება.

საქალაქო კულტურის ცენტრს შემოქმედებითი აქტივობა არ ჰქონია.

2023 წელს კულტურისა და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანებაში არის 26 წრე.
ამ წრეებში ბავშვთა რაოდენობა გახლავთ 405.
აქედან - 289- გოგო
116 - ბიჭი.

გ. ბოლოკაძე,
ა(ა)იპ „კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი
განვითარების ცენტრების გაერთიანების დირექტორი

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3,#4 ,5,6,7,8,9,10,11,12,15,15,17)

ოქრუაშვილების წისქვილი - ადგ., ნაწისქვილარი.
ოძისის ბილიკი - ადგ., გზა.
პავლეს ახო - ადგ., ახო, სათიბი.

სათივე - ადგ., სათიბი.

სათიბის მიწები - ადგ., სათესი.

სასთუმლის მიწები//სასთუმლეები - ადგ., უბანი, სახნავი. ,,სასთუნალი (სასთუმალი), - სულხან-საბას მიხედვით, - თავის სადები ფიცარია, თავსადებია“(სულხან-საბა ორბელიანი, 1966:57).

საურმე გზა – გზა

საჯვარე - ადგ., სალოცავი

სოლოს მიწები - ადგ., სახნავი, სათესი

ულუმბის დასახლება - ადგ., უბანი. აქ დასახლებული არიან ულუმბიდან გადმოსულები.

ფიდიას წყარო – წყარო.

ქოჩორაძის მიწა - ადგილი; იხ. ლაშიხევა.

ქრისტოს წისქვილი - ადგ; ნაწისქვილარი.

ყაფალი - ადგ., გორაკი. უნდა ვიფიქროთ, რომ ყაფარიდან მომდინარეობს, რაც სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით არის ,,აღმართი, მყაფარი, პირაღმართი“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1966:263)

წმინდა მარიამი - ადგ., სალოცავი

ჭაობები - ადგ., სათესი .

ხარაიშვილების უბანი - უბანი, იგივეა, რაც ულუმბის დასახლება.

სოფელი გვერდისუბანი

ამაღლება - ადგ; სალოცავი დასავლეთით. ,,სერის დაბლა არის. აქ იცის აღდგომიდან მე-7 ხუთშაბათს ამაღლების დღესასწაული. ეკლესიაა აქ. ბეკმელები საფლავდებოდნენ. ძველი სასაფლაო იყო“.

არახჩიანთი - ადგ; სახნავი, სათესი სამხრეთ-დასავლეთით. ,,აქ მაცხოვრებლები ყოფილან“. 1749 წელს გიორგი არახჩიაშვილმა ურიაყოფილის შვილს ყობიას მიჰყიდა ,,...ალალი ნასყიდი მიწა გორათს საყდართან. აქეთ ბაიასშვილის მიწის მიდგმამდინ, იქით გორათის საყდრის მიდგმამდის“. 1760 წლის 17 ოქტომბრის საბუთით გვერდისუბანში დასტურდებიან არახჩიშვილები. საბუთში ნათქვამია: ,,...ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეცით ჩვენ, არახჩიშვილმა გიორგიმა და შვილმა და მამავალმა სახლისა ჩემისამა თქვენ, კაკაჩს ძმა ყობისაშვილსა შენსა აბრამასა, შვილსა და მამავალსა სახლისა შენისასა, ასე რომე გამიჭირდა დამოგყიდე ჩემი სამკვიდრო ვენახი ჩემის განაყოფის ვახუშტის ვენახთან. ერთი გვერდი ცხერელაშვილის ვენახის მიდგმამდი, მეორე გვერდი დივნის შვილი[ს] ვენახის მიდგმამდი...“. ნასყიდობის წიგნს სხვებთან ერთად ემოწმება არახჩიშვილი ვახუშტი. არახჩიაშვილები იტრიელი თავადების, - ჩხეიძეების აზნაურები არიან. 1782 წლის 3 აპრილს სეხნია ჩხეიძემ არახჩიაშვილისა და მისი ყმის მიწა ქაიხოსრო აბაშიძეს მიჰყიდა: ,,...ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, ჩხეიძე[ე]ბმა სეხნიამ და თეიმურაზმა თქვენ, აბაშიძეს ქაიხოსროს, ძმასა თქვენსა ევგენსა, დავითსა, შვილსა თქვენსა, მამავალსა სახლისა თქვენისასა. ასე რომა და[გ] ვეჭირა და მოგყიდეთ ცხრამუხას ჩვენის აზნაურშვილის არაჩიაშვილისა და მისი ყმის ჩოლაყაშვილისა ათის დღის მიწა. იქით ქურდაძის და ჯაბადრისშვილის მი[დ]გმამდი, ქვეით ნათიშვილის მიდგმ[ა]მდი, აქეთ ღელემდი, ზეით ნებიერიძის მიდგმამდი“.

1788 წლის 7 აპრილს სეხნია ჩხეიძემ არახჩიაშვილის ,,მამულ-ალაგი“ გიორგი აბაშიძეს მიჰყიდა: ,,...ნასყიდობის სიგელი და წიგნი დაგიწერე და მოგეც მე, სეხნია ჩხეიძემა... თქვენ, აბაშიძე გიორგისა... მაჟამს როდენს დამეჭირა და მოგყიდე ჩვენის ყმის აზნაურშვილის არახჩიაშვილის ვახუშტის და გიორგის მამულ - ალაგი, რისაც ქონებული იყო მუმლაძის მამულის გარდა“.

არახჩიაშვილი გვხვდება 1792 წლის 25 თებერვლის საბუთში. შიო წვერიანაშვილის მიერ ნიკოლოზ აბაშიძისათვის მიყიდული ოთიაშვილისეული ვენახისა და ვენახის თავზე გვერეხაშვილისეული მიწის საზღვრად ,,თავს“ დასახელებულია არახჩიაშვილისეული მიწა, ხოლო ,,აქეთ გვერდის“ საზღვრად არახჩიაშვილის გზა.

1804 წლის 22 ნოემბერს სეხნია ჩხეიძემ გიორგი აბაშიძეს მიჰყიდა ,,გვერდისუბანს არახჩიაშვილის ნაქონი ბასილიშვილის ბეჟანის... ნახევარი ვენახი“ საზღვრებში: ,,ზევით ისევ შენს (გიორგი აბაშიძე - თ.ლ.) ვენახის საზღვრამდი, იქით ტუკაძე გოგილას სამძღვრამდი, ბოლოს და აქეთ გვერდი კიკოლა ბუშის შვილი გრიგოლის მოდგმამდი. გზა ურმის შესავალი გვერდისუბნიდამ ჩოლაყაურის ბოლოზე“

. არახჩიაშვილის გზა - ადგ; იხ. არახჩიანთი.

ბაიასშვილის მიწა - ადგ; დაფიქსირებულია გიორგი არახჩიასშვილის მიერ 1749 წლის 15 მარტს ყობია ურიაყოფილისათვის მიყიდული მიწის საბუთში: ,,...ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეც მე, გიორგი არახჩიასშვილმა, შვილმა ჩემა იესემ, შენ, ურიაყოფილისშვილს ყობიას, შვილსა შენსა აბრამას, მანოახას. ასრე რომე მოგყიდე ჩემი ალალი ნასყიდი მიწა გორათს საყდართან. აქეთ ბაიასშვილის მიწის მიდგმამდის, იქით გორათის საყდრის მიდგმამდის“.

ბაიაშვილის პატას ნაქონი მიწა - ადგილი; 1830 წლის 8 იანვარს ეს მიწა ტარიელ ხიდირბეგოვმა მიყიდა იოსებ ქურდევანიძეს: ,,...მტკიცე და უცილვებელი ნასყიდობის სიგელი დაგიწერე და მოგეცი მე, თავადმა, სურამში მცხოვრებელმა ტარიელ ტარიელის ძემ ხიდირბეგოვმა და ყოველთა სახლისათა მომავალთა ჩვენისათა შენ, გვერდისუბანს მცხოვრებელს იოსებ ქურდევანიძესა და ძმასა შენსა მათესა, დავითსა, ანდრიასა, შვილთა და მამავალთა სახლისა თქვენისათა. ასე რომე დამეჭირა და მოგყიდე ჩვენის კაცის ბაიაშვილის პატას ნაქონი მიწა სახემწიფო ხოდაბუნის თავში... ერთი გვერდი კობალაძის პატას მიწის მიდგმამდინ, მეორე გვერდი გრძელაშვილი დავითას ნასყიდის მიდგმამდინ, თავს შარამდინ“.

ბარბაქაძის მიწა - ადგილი; გვხვდება კოჩაძე ივანეს მიერ 1785 წლის 27 მარტს სვიმონ აბაშიძისათვის მიცემულ ნასყიდობის წიგნში ,,გაღმა ვენახის“ ,,ბოლოს“ საზღვრად.

დაფიქსირებულია სეხნია ჩხეიძის მიერ 1804 წლის 26 სექტემბერს გიორგი აბაშიძისათვის მიცემული ვენახი ნასყიდობის წიგნში: ,,...ნასყიდობის სიგელი და პირი დაგიწერე და მოგეცით ჩვენ, სეხნია ჩხეიძემ, შვილმა ჩემა ივანემ და დავითამ თქვენ, აბაშიძეს გიორგისა, შვილთა თქვენთა დავითსა, ევსტაფს და ივანეს, შვილთა და მომავალთა თქვენთა. ასე რაოდენს დაგვეჭირა და მოგყიდეთ გვერდის უბანს ვენახი ჩვენის ყმის ქართველიშვილისა. ზევით ფარეშაშვილის ვენახის სამძღვრამდი, ქვეით წვერიანაშვილის ვენახის სამძღვრამდი, აქეთ წყაროსკენისევ თქვენის საბოსტნის მოდგმამდი, იქით ბარბაქაძის მიწის მიდგმამდი“.

ბერძნების ბაღი - ადგ; ,,ადრე სახნავი იყო. ახლა ხალხი ცხოვრობს. აქ ბერძნებს უცხოვრიათ. მახსოვს, ჩემს ახალგაზრდობაში აქ დიდი ბინა იყო“(ნ. ლაცაბიძე).

გვერდისუბნის სასაფლაო - ადგ., სასაფლაო გვერეხაულები// გოროხაულები - ადგ., სათესი, ვენახი სამხრეთ-დასავლეთით. 1584 წელს გიორგი ბატონიშვილმა ,,გუერდისუბანში“ იტრიის ეკლესიას შესწირა ,,...გუერეხაშვილი იოვანე მისის მამულითა, რისაც მქონებელნი ყოფილან“.

1792 წლის 25 თებერვალს შიო წვერიანაშვილმა ნიკოლოზ აბაშიძეს მიჰყიდა ,,მიწა გვერეხაშვილისეული“.

გორათი - ადგ., ნასოფლარი, გორაკი, წყარო, ეკლესია სამხრეთით.

გორათის საყდარი - ადგ; სალოცავი. იხ. გორათი.

გრძელა – ადგ; ტყე ჩრდილოეთით. ,,აქ ხალხსაც უცხოვრია. ჩემს ახალგაზრდობაში აქ გვინახავს თონეები და ქვევრები”.

დიდმინდვრები – ადგ; ტყე დასავლეთით. ,,ამ მინდვრების დაბლა ცხოვრებულან ბაიანთხეველები. შემდეგ ჩამოვიდნენ ქვემოთ, სადაც ახლა არის მოსახლეობა”(შ. ქურდაძე).

ელიას ნაეკლესიარი - ადგ; სალოცავი დასავლეთით, ტყეში.

ზაზულაური – ადგ; სახნავი, სათესი. 1792 წლის 25 თებერვალს შიო წვერიანაშვილმა ნიკოლოზ აბაშიძეს მიჰყიდა თავისი ,,...ბიძაშვილისაგან წილში ნარგები ოთიაშვილისეული ვენახი და ვენახის თავზე მიწა გვერეხაშვილისეული“, რომლის ერთი ,,...გვერდი ზაზულაური მიწის მიდგმამდინ“ გრძელდებოდა.

ივანეს ნაფუზარი – ადგ; სახნავი, სათესი. 1795 წლის 20 ივლისს სურამელი ბინია ყაზარაშვილის მიერ გიორგი აბაშიძისათვის მიყიდული ტუკაძისეული ვენახის თავი გრძელდებოდა ,,ივანეს ნაფუძრამდინ”.

იოსების მიწა - ადგ., სახნავი

კვართისა – ადგ; ნასოფლარი, სალოცავი დასავლეთით. ლიხის ქედის სამხრეთ კალთაზე, სოფლების - გვერდისუბნისა და ბეკამის სიახლოვეს. ,,კუართი(კვართი) – ჯუბა, გინა პერანგი”, აგრეთვე ,,ჯუბა, გინა პერანგის მსგავსი, პერანგი”. (სულხან-საბა ორბელიანი, 1965:395). ,,იგივე ამაღლების ეკლესიას ეძახიან. ამ ადგილს ერქვა კვართისაც. კვართისის წმინდა გიორგის ეკლესიაა აქ. იგივე ამაღლების ეკლესია“(შ. ქურდაძე).

ხალხური ტრადიციის მიხედვით აქ ქრიტეს კვართი დაუსვენებიათ. მკვლევარ მ. დანდურიშვილის ცნობით, გადმოცემის თანახმად ელიოზ მცხეთელსა და ლონგინოზ კარსნელს იერუსალიმიდან მცხეთისაკენ მიმავლებს, სწორედ აქ დაუსვენიათ და მაცხოვრის უკერველი კვართი, რომელსაც ისინი მოაბრძანებდნენ, აქ დაუბრძანებიათ. ამიტომ ამ ადგილს ,,კვართისა” ეწოდა.

კვართის წყალი – წყარო

კვართის მიწები - ადგ., სახნავი

კვახიაშვილის ვენახი - ადგილი; 1827 წლის 1 მაისს ბაკა მურვანიშვილის მიერ გიგოლა ოთეღაშვილისადმი მიყიდული ვენახის საზღვარი: ,,კვერნაძეების კალო - ადგ., ნაკალოვარი

კვერნაძეების მიწები - ადგ., სახნავი

კვერნაძეების ჭა - ადგ., ჭა

კვირიაშვილის ვენახი - ადგ; ვენახი. ფიქსირდება გორგასალ ჩხეიძის მიერ 1791 წლის 1 დეკემბერს იესე მურვანიშვილისათვის მიცემულ ნასყიდობის წიგნში: ,,...ნასყიდობის სიგელი და პირი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, გორგასალ ჩხეიძემ, შვილმა და მომავალმა სახლისა ჩემისამა თქვენ, მურვანიშვილს იესე[ს] და ლუარსაბს, შვილსა თქვენსას მურვანს, ბაკას, გოგიას და ზურაბას და იოვანეს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისასა. ასე ამა პირსა ზედან, ოდენს მნებევდა და მოგყიდე ჩემი ყმის კვირიაშვილის ვენახი ბარბაქაძის კარზე. ზევით ხიდირბეგიშვლის ვენახის მიდგმამდინ, ერთი გვერდი ზალაშვილის მიდგმამდინ, მეორე გვერდი ბარბაქაძის მიდგმამდინ“ .

კიკოლა ჩხეიძის მიწა - ადგ; იხ. ფერაული მიწა.

კობალაძეების კალო - ადგ., ნაკალოვარი

კობალაძეების მიწები - ადგ., სახნავი

კობალაძის პატა მიწა - ადგილი; იხ. ბაიაშვილის პატას ნაქონი მიწა

კუდატყე – ადგ.,ტყე.

კუდატყისპირი - ადგ., ტყისპირი.

კუდატყისპირის მიწები - ადგ., სახნავი.

ლაგერი//ლაგირი - ადგ; სახნავი, ვენახი სამხრეთით. ,,ნაწილი მინისტარის ქარხანას უკავია“(შ. ქურდაძე), ,,აქ სამხედროები იდგნენ“(ნ. ლაცაბიძე).

ლაგორას მთები - ადგ., სახნავი.

ლაზროს ახო - ადგ; ტყე, მინდორი, საძოვარი ჩრდილო-დასავლეთით. ,,სერის შემდეგ არის. დიდი მინდორია. ნავენახარიც არის. ჩაყარეს, არ ივარგა, საძოვარია ახლა“(შ. ქურდაძე). ,,სამხარაძე იყო. ჩვენთან ცხოვრობდა და წავიდა შინდარაში“(ნ. ლაცაბიძე).

თამაზ ლაცაბიძე

“ყიფიანობა” - 2024

საქართველოს ეკლესია 26 აპრილს წმინდა დიმიტრი ყიფიანის, სამშობლოსათვის წამებულის ხსენების დღეს აღნიშნავს.

დიმიტრი ყიფიანი იყო მე-19 საუკუნის დიდი ქართველი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ქართველი ხალხის ეროვნული და სახელმწიფოებრივი

იდეების ინიციატორი და განმახორციელებელი, ქართული ენის და ქართველი ერის ღირსების მცველი - რაინდი!

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთში, წმინდა დიმიტრი ყიფიანისადმი მიძღვნილი სახალხო დღესასწაული - “ყიფიანობა” გაიმართა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სურამისა და ხაშურის ეპისკოპოსმა სვიმეონმა, წმინდანის სახლ-მუზეუმში სავედრებელი პარაკლისი აღავლინა, რომლის დასრულების შემდეგ, ქადაგებით მიმართა შეკრებილ მრევლს, მიულოცა დღესასწაული, ისაუბრა წმინდანის ცხოვრებისეული ეკლიანი გზის, მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის და ისტორიული ღვაწლის შესახებ.

მსახურების შემდეგ გაიმართა საზეიმო კონცერტი და დაჯილდოების ცერემონია.

ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების გადაწყვეტილებით, წმინდა დიმიტრი ყოფიანის სამუზეუმო მედლით დაჯილდოვდნენ ისტორიის და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვაჟა შუბითიძე და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე.

წმინდა დიმიტრი ყიფიანის მეოხებით ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო!

ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში, დედამიწის დღე აღინიშნა

მინის ტარის დასახლებაში არსებულ საბავშვო ბაღში, ღონისძიებებს შეუერთდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი და სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელი ლელა გელაშვილი.

დაირგო დეკორატიული ტიპის ხე მცენარეები და გაიმართა დედამიწის დღესთან დაკავშირებული გამოფენა, რომელიც გარემოსდაცვითი მიმართულებით, ცნობიერების ამაღლებას ემსახურება.

დედამიწის დღე მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით აღინიშნა. გაიმართა სხვადასხვა ღონისძიებები, რომელშიც ფართოდ იყო ჩართული ახალგაზრდობა. მოეწყო გარემოს დასუფთავების აქციები.

- ჭადრაკი -

მეექვსე საჯარო სკოლის გუნდი რეგიონულ ტურნირში იასპარეზებს

გასულ კვირას ხაშურის სასპორტო სკოლა-კომპლექსში დიდი ხალხმრავლობა იყო, მუნიციპალიტეტის 25 სკოლის 100 მოსწავლე მონაწილეობას იღებდა ჭადრაკის ტურნირში ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თასზე. პატარა მოჭადრაკეები პირველი მეორე კლასის მოსწავლეები არიან, რომლებიც ჭადრაკის გაკვეთილებზე

მიღებული ცოდნით დიდი მონდომებით და პასუხისმგებლობით თამაშობდნენ. იყო მოგებით გახარებული სახეებიც და წაგების მწარე ცრემლი.ტურნირის ჩემპიონი გახდა სსიპ გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ხაშურის მეექვსე სკოლის გუნდი, რომლის შემადგენლობა იყო: ანდრია აკოფაშვილი, თედო თედეშვილი, იოანე სუთიძე. ეფრემ სუთიძე. მეორე ადგილზე გავიდა სსიპ ხაშურის მეოთხე საჯარო სკოლის გუნდი შემდეგი შემადგენლობით,:ივლიტა გელაშვილი, არჩილ ხერხეულიძე, ნიკოლოზ მჭედლიძე, ლუკა მალხაზიშვილი. მესამე ადგილი - სსიპ ხაშურის პირველი სკოლის გუნდი, შემადგენლობა: ვეფხვაძე ლაშა, ვეფხვაძე ლუკა, გუდაძე ვაჩე, მაყიშვილი დემეტრე. მეოთხე ადგილზე გავიდა სსიპ ხაშურის მერვე სკოლის გუნდი: ერაია გიორგი, ჩადუნელი გაბრიელი, ნოზაძე ნათია, გარსევანიშვილი მათე. პირველ ადგილზე გასული გუნდი მონაწილეობას მიიღებს რეგიონალურ ტურზე გორში. ტურნირის ორგანიზებულ ჩატარებაშიდიდიდამსახურება მიუძღვის ხაშურის სპორტული კომპლექსის ადმინისტრაციას და ჭადრაკის სპეციალისტს და პედაგოგს ალექსანდრე ჭადაშვილს.

- ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა -

გზა დიდი წარმატებისკენ

ძნელია, საქართველოში სიმღერით ვინმე გააკვირვო-ამ დალოცვილ ქვეყანაში ხომ თითქმის ყოველი მეორე მღერის და ამ ყოველი მეორედან ძალიან ბევრს აბსოლუტური სმენა აქვს. სიმღერა ქართველი კაცის იდენტობის ერთ-ერთი მახასიათებელია და ჩვენი ერის მაღალი კულტურის დამადასტურებელი განზომილება,რომელიც საუკუნეების წინ იღებს სათავეს და დღეს,ისეთ მწვერვალებს მიაღწია,მსოფლიოს აოცებს. დიახ, ბევრი მღერის საქართველოში,თუმცა,ამ "ბევრიდან" ბევრი არაა ისეთი, რომელზეც ზეაღმატებული ტონით ამბობენ ჩვენში, ბულბული დააჯდა ამ დალოცვილს ენაზეო. გამორჩეულები უცებ ხდებიან ხალხის სიყვარულის ობიექტები და მათ მოსასმენად მასები იკრიბებიან. დღეს ერთ-ერთ მათგანზე გვინდა, მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ. უფრო სწორად, მის მორიგ წარმატებაზე გვსურს მკითხველს მოვუთხროთ, თორემ მას,მით უმეტეს ჩვენს მუნიციპალიტეტში, შესანიშნავად იცნობს ყველა.

ლევან ტაბატაძე-სიმღერისთვის დაიბადაო, სწორედ ასეთებზე ამბობენ-ქვიშხეთში დაბადებულმა და გაზრდილმა ბიჭმა საოცარ სიმაღლეებს მიაღწია და საოპერო ხელოვნებაში საქართველოში უკვე მნიშვნელოვან ფიგურედ ითვლება. თუმცა,როგორც სპეციალისტები ამბობენ,ეს მისი,მხოლოდ გზის დასაწყისია და წინ კიდევ მრავალი წარმატება ელის. მისი გზა კი ასე დაიწყო: ქვიშხეთში სკოლის დამთავრების შემდეგ, გორის სულხან ცინცაძის მუსიკალურ კოლეჯში აგრძელებს სწავლას. შემდეგ სახელმწიფო კონსერვატორია-თენგიზ მუშკუდიანის კლასი-ბაკალავრიატი და მაგისტრატურა. ასეთი ხმის პატრონი,რა გასაკვირია,რომ თბილისის ოპერის თეატრში მიიწვიეს. სტუდენტობიდანვე ხდება მისი დაახლოება დიდ მაესტროსთან-გიორგი გაგნიძესთან. მსოფლიოში ცნობილ მომღერალს(სხვათა შორის,ბატონი გიორგი ხაშურს მშობლიურ ქალაქად მიიჩნევს), არ გამორჩენია მისი ტალანტი და ყველანაირად გვერდში უდგას. ასეთი ვარსკვლავის თანადგომას კი ყოველთვის მოაქვს შედეგი. წერილის თავში, მორიგი წარმატება ვახსენეთ

და სწორედ მის შესახებ გვინდა, გიამბოთ. ყველაფერი სვანეთიდან დაიწყო, სადაც ლევანი ერთ-ერთ ღონისძიებაზე იყო მიწვეული და თავისი ხავერდოვანი ხმით დაატკბო მსმენელი. ღონისძიებას კულტურის მინისტრი თეა წულუკიანიც ესწრებოდა. გადარეულა ქალბატონი მინისტრი მის შესრულებაზე და სასწრაფოდ ქუთაისის ოპერის თეატრის ხელმძღვანელს დაკავშირებია. მგონი, გიპოვეთ, ვისაც ეძებდით და მოუსმინეთო. საქმე იმაშია, რომ ქუთაისში, დიდი ხანია ფიქრობენ თაქთაქიშვილის ოპერის-"მინდიას" დადგმას, მაგრამ ვერ ნახეს ბარიტონი, რომელიც ამ ოპერაში ერთ-ერთი მთავარი გმირის-ჩალხიას ურთულეს პარტიას შეასრულებდა და აი, მხსნელიც გამოჩნდა: ამ რამდენიმე ხნის წინ, ქუთაისში, საოპერო ხელოვნების საღამო გაიმართა,სადაც ლევანი სწორედ ამ პარტიით წარსდგა ორკესტრის თანხლებით და პირდაპირ მონუსხა მსმენელი.



მის გამოსვლას არც მხურვალე ოვაციები დაკლებია და არც მრავალრიცხოვანი "ბრავო". ასეთი შანსს ხელიდან ვინ გაუშვებდა და თეატრმა სასწრაფოდ გააფორმა კონტრაქტი ლევანთან. ისე, რომ თბილისის პარალელურად, ლევანი ქუთაისშიც იმოღვაწებს და უკვე მთავარ პარტიებს შეასრულებს. გვჯერა,იგი ბრწყინვალედ გაართმევს თავს ყველა სირთულეს და ისიც გვჯერა,სწორედ აქედან დაიწყება ნახტომი მსოფლიოს დიდი სცენებისაკენ.

წარმატებები, ლევან!

გვეამაყები, რადგან შენ ჩვენი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი გამორჩეული სახე ხარ და იმაშიც დარწმუნებულნი ვართ,რომ ჩვენი ქალაქის სახელს ბევრჯერ გააცნობ მუსიკალურ სამყაროს.

გოგი გოგოლაძე

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.